ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

27 ივნისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№26 (9340)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2024 წლის 21 ივნისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №41 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილებაში; ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 დადგენილებაში; და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის“ დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მაისი №34 დადგენილებაში.

დეპუტატებმა იმსჯელეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით ქონების იჯარით გაცემის შესახებ.

განიხილეს და მხარი დაუჭირეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ დავით ზაალიშვილის ინიციატივას - გამოჩენილი ქართველი მსახიობის ტრისტან სარალიძის საცხოვრებელი სახლის (64.21.02.528) მიმდინარე ქუჩისათვის ტრისტან სარალიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს III კვარტალის სამუშაო გეგმა.

მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ დირექტორის დ. ყიფიანის ინფორმაცია 2023 წელს გაწეული მუშაობის და 2024 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით.

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“ დირექტორის ოქრუაშვილის ინფორმაცია 2023 წელს გაწეული მუშაობის და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

„ლიკანი“ – განახლებული შეფუთვა და არომატები

შუშხუნა მინერალური წყალი „ლიკანი“ არომატით, საზოგადოებას განახლებულ შეფუთვას და არომატებს სთავაზობს. ალუბალი და ბროწეული ,ციტრუსი და ჯანჯაფილი - სწორედ ამ არომატების და „ლიკანის“ მინერალების მიქსით განახლდა ბრენდის პორტფელი.

დაიმუხტე „ლიკანის“ ახალი არომატებით - ეს ბრენდის საკომუნიკაციო გზავნილია. „ლიკანი“ ხილის ბუნებრივი არომატით, 0 კალორიით და რაც მთავარია, შაქრის და სხვა დამატკბობლების გარეშე, ჯანსაღი და გემრიელი არჩევანია წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

„ლიკანი“ არომატით ბაზარზე ოთხი წლის წინ გამოჩნდა და „ლიკანის“ მსგავსად სწრაფად მოიპოვა წარმატება. ბრენდმა კი ერთგულ მომხმარებლებს სიახლე შესთავაზა და მათი თხოვნის გათვალისწინებით, პორტფელი განაახლა. „ლიკანი“ ციტრუსის და ჯანჯაფილის არომატით, სრულიად განსხვავებული პროდუქტია. არსებული სამი არომატიდან კი - ალუბალი და ბროწეული შენარჩუნდა, რომელიც საზოგადოებამ ყველაზე მეტად შეიყვარა. უცვლელი რჩება მისი უპირატესობა - 0 შაქარი და 0 კალორია, რაც შუშხუნა „ლიკანის“ არომატებს, სხვა გაზიანი სასმელებისგან გამოარჩევს.

ირინა კეიდია, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ მარკეტინგის დირექტორი.

„ლიკანი“ როგორც სიახლეების მოყვარული ბრენდი, განაგრძობს განვითარებას. ჩვენ მუდმივად ვითვალისწინებთ და ყურადღებას ვაქცევთ მომხმარებლის სურვილს და ქცევას. სწორედ მათი გემოვნების გაანალიზებით, მივხვდით, რომ სიახლის დრო დადგა. განვაახლეთ პროდუქტის შეფუთვა და პორტფელში დავამატეთ სრულიად ახალი არომატები, რომლებზეც „ლიკანის“ გუნდმა იმუშავა. იმედი მაქვს, მომხმარებელი სწრაფად შეამჩნევს განახლებულ ქილებს, დაიმახსოვრებს და შეიყვარებს „ლიკანის“ ახალ არომატებს.

ახალი დიზაინი აგრძელებს „ლიკანის“ ძირითადი პროდუქტის შეფუთვის ხაზს. არომატების მიხედვით, ქილებზე გამოყენებულია ხილის ილუსტრაციები ყვითელი და ნითელი დეტალებით, რაც მომხმარებლისთვის პროდუქტს უფრო მეტად აღსაქმელს ხდის. „ლიკანი“ ხილის არომატით მხოლოდ ქილაში იწარმოება, განახლებულ შეფუთვაზე კომპანიის გრაფიკულმა დიზაინერმა იმუშავა.

ანი ჭოლოშვილი, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ უფროსი დიზაინერი.

- „ახალი შეფუთვით „ლიკანი“ არომატებით, კიდევ უფრო დავაახლოვეთ ძირითად პროდუქტს. ქილებზე გამოვკვეთეთ ხილი და „ლიკანის“ ეტიკეტის უცვლელი ელემენტები - მინერალები და ტალღები. ახალი დიზაინის ძირითადი ფერი „ლიკანის“ ქილის მსგავსად მწვანეა, რომელიც არომატების მიხედვით დამატებული წითელი და ყვითელი ფერებით ბრენდის და ახალი პროდუქტის ხასიათს გამოხატავს.

„ლიკანი“ ხილის არომატით, საქართველოს ბაზარზე პირველად სამი სხვადასხვა არომატით გამოჩნდა. ვაშლი და ტარხუნა, ატამი და ფორთოხლის ყვავილი, ალუბალი და ბროწეული მომხმარებელმა სწრაფად შეიყვარა. ოთხი წლის შემდეგ, ბრენდმა პორტფელი განაახლა და ბაზარზე პოზიციონირებას ორი არომატით - ალუბალი და ბროწეული ციტრუსი და ჯანჯაფილით განაგრძობს. შუშხუნა „ლიკანი“ ხილის არომატით კომპანია ,,IDS ბორჯომი საქართველოს” მიერ ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხანაში იწარმოება.

მშრალი ღელის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს

მარცხნიდან მარჯვნივ: ვლადიმერ ბლიაძე ნიკოლოზ კაპანაძე, ვანო სამსონიძე

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც წარმატებით მიმდინარეობს ე.წ. „ცოფიანი“ ღელის პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის რკინა-ბეტონის „არტახებში“ ჩასმის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ფირმა „მარეთი-777“, ხოლო ქვეკონტრაქტორთა შ.პ.ს. „აორი“ (უფროსი გიორგი ბლიაძე). სამუშაოებს ორგანიზებულად და დიდი პასუხისმგებლობით წარმართავს სამუშაოთა მწარმოებელი სტეფანე გელაშვილი.

განვლილ სამ თვეში ,,მშრალი ღელე“ გაიწმინდა თავსხმა წვიმების შედეგად მოტანილი ნიაღვრის ნარჩენებისაგან, დამუშავდა 2800 კუბმეტრი მიწის ნაშალი, რომელიც ,,კამაზის“ მძღოლებმა **ედუარდ კაზაზიანმა, ალიკა ოსაძემ** და **ირაკლი გიორგაძემ** 350 რეისი გაიტანეს სამოქმედო ტერიტორიიდან. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაშალი გრუნტის დიდი ნაწილით შეივსო ღელის ორივე მხარეს რკინა-ბეტონის დამცავი სამმეტრიან ჯებირებს შორის არსებული სიცარიელე, რასაც ღირსეულად გაართვა თავი ექსკავატორის მემანქანემ **ბესიკ ხიდაშელმა.**

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს საკირელი ახალგაზრდების **ვლადიმერ და გიორგი ბლიაძეების, ნიკოლოზ კაპანაძის, ვანიკო სამსონიძის** და **გიორგი გოგოლაძის** მეტად მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ,,მშრალი ღელის“ საყრდენი კედლების, ხარაჩოების საიმედოდ შეჭედვის და ბეტონის ჩასხმის საქმეში, ამასთან ობიექტის ფსკერზე დაიგო 60 სანტიმეტრის სისქის არმირებული ბეტონი.

ობიექტს მაღალი პასუხისმგებლობით, ოპერატიულად და რაც მთავარია, ხარისხიანი ბეტონით ამარაგებდა შ.პ.ს. ,,მშენ-2008“ (უფროსი **შალვა ფხიკიძე**), სულ ჩაისხა 450 კუბმეტრი ხარისხიანი ბეტონი, რასაც ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა ბეტონმზიდის მემანქანე **როინ ბლიაძე**.

დღემდე გაიხარჯა 32 ტონა სხვადასხვა დიამეტრის არმატურა.

სამი თვის დაძაბული და მიზანმიმართული მუშაობით შესრულდა უაღრესად შრომატევადი სამუშაოები. 15 ივნისამდე ჩაისხა 80 მეტრის სიგრძის ნიაღვარსავალი არხი, ფსკერის შიდა პარამეტრია 5 მეტრი, კედლების სიმაღლე - 3 მეტრი.

სამუშაოები გრძელდება გეგმით გათვალისწინებული 108 მეტრამდე ღია არხის მოწყობა, რომელიც ორიოდე კვირაში დასრულდება. სამუშაოების სრულიად დამთავრებამდე კიდევ რჩება დაახლოებით 30-40 მეტრის არხის მოწყობა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ახლა იმ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობენ, როგორ შეასრულონ დარჩენილი სამუშაოები მძლავრი ტექნიკის საშუალებით, სადაც მათი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა საკმაოდ რთულია. იმედს ვიტოვებთ, ამ მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო ობიექტის დამთავრების გზებს რაიონის ხელმძღვანელობა გამონახავს და დაწყებულ სამუშაოებს ბოლომდე მიიყვანს.

ვალერიან ლომიძე.

წლის საუკეთესო მასწავლებელი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტი „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ შემაჯამებელი ღონისძიებით დასრულდა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ბორჯომის ყველა საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა.

ღონისძიებაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიერ წარდგენილი 27 წარმატებული მასწავლებელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ფერაძემ** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **იზოლდა ლომიძემ** დიპლომებითა და სასაჩუქრე ვაუჩერებით დააჯილდოვეს.

ამავე დღეს დასახელდა მასწავლებლის პრემიაზე წარდგენილი 6 პედაგოგი:

ვარა ხუციშვილი - სოფელი დვირის საჯარო სკოლა;

მზია კობრავა - №1 საჯარო სკოლა;

დიმიტრი ჩუტკერაშვილი - ტაძრისის საჯარო სკოლა;

ნინო კევლიშვილი - №3 საჯარო სკოლა;

მარინა ლომიძე - №3 საჯარო სკოლა;

აკაკი გეგეჭკორი - წაღვერის საჯარო სკოლა.

ღონისძიება, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ მოწვეული კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლით **„უჩინმაჩინის ქუდი“**, საზეიმოდ დაიხურა.

სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალდაბაში, სასმელი წყლის შიდა ქსელის და ე.წ ,,სადგურის” უბანში“ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო.

ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1530 გრძივ მეტრზე განხორციელდება. სასმელი წყლის შიდა პოლიეთილენის მილით შეიცვლება.

ხოლო, ,,სადგურის” უბანში“ საკანალიზაციო ქსელი, რომლის დაზიანებული მონაკვეთი 1561 მეტრს შეადგენს, სრულად რეაბილიტირდება. მოეწყობა საკანალიზაციო ჭაც.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და მას შპს „მელიზა“ ახორციელებს.

დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია!

როგორც გაეროს მიერ ჩატარებული კვლევებით შევიტყვეთ, თუ საქართველოში დემოგრაფიული ვითარება არ შეიცვალა, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 1,170 მილიონი ადამიანით შემცირდება. ამავდროულად, წინასწარი კვლევებით, აზიიდან და აფრიკიდან თავის გადასარჩენად მილიარდზე მეტი მიგრანტი დაიძვრება.

ავტორიტეტული საერთაშორისო ანალიტიკური კვლევითი ცენტრის დასკვნით - ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მეცნიერთა განცხადებით ხალხთა მასობრივი მიგრაციის მიზეზი კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები და მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი მატებაა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. ხარისხიანი სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ აფრიკის ქვეყნები (ნიგერია, ანგოლა, ბურკინა-ფასო, უგანდა და სხვები), რაც ამ ქვეყნების მოსახლეობის მიგრაციას გამოიწვევს. თითქმის ასეთივე პრობლემების წინაშეა პაკისტანი, ეთიოპია და ირანი. მკვლევარების განმარტებით ამ სახელმწიფოებში მცირე სიმძლავრის ეკოლოგიური პრობლემებიც საკმარისია, რომ მოსახლეობა დაიძრას დასავლეთისაკენ. ალბათ, გახსოვთ, ორიოდე წლის წინათ ამერიკისგან სანქციებით შეწუხებული მილიონამდე ირანელი საქართველოსკენ დაძვრას აპირებდა.

ბოლო მონაცემებით მსოფლიოში 8 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. 2050 წლისათვის მათი რაოდენობა 10 მილიარდი გახდება, რაც ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნას გაზრდის, შიმშილის საფრთხე დაემუქრება 3,5 მილიარდ ადამიანს. წყლის დეფიციტს კი ამჟამად 26 მილიარდი ადამიანი განიცდის და ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება.

ახლა კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებს გავეცნოთ, რომელიც მეტად სავალალოა. **გაეროს მეცნიერთა ჯგუფმა ქართველები მომაკვდავ ერთა სიაში შეიყვანა. მოვიშველიოთ ციფრები 2014 წლის მოსახლეობის აღწერით მოსახლეობამ 3713804 სული შეადგინა და 2002 წლის აღწერასთან შედარებით 657731 ადამიანით შემცირდა**. მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კვლავ კატასტროფულად მცირდება და ალბათ 3 მილიარდამდე შემცირდება. ამ სამი მილიარდიდან ქვეყანაში ნახევარი მილიონი ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხია.

ისიც საგანგაშოა, რომ ჩვენი მოსახლეობის 85,5 პროცენტი 15 წელზე უფროსი ასაკისაა. აქედან 16 პროცენტი 64 წელს გადაცილებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაკოვანი ადამიანების რიცხვი აჭარბებს ახალგაზრდების რიცხვს, ანუ ერი ბერდება.

საინტერესოა ისიც, რომ 1926 წელს კავკასიის 35 პროცენტი ანუ მილიონი მოსახლეობის ყოველი მესამე მცხოვრები საქართველოში ცხოვრობდა. ეს მაჩვენებელი 1970 წელს - 28 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს 189 პროცენტამდე, ანუ კავკასიაში მცხოვრები ყოველი მეექვსე ადამიანი საქართველოში ცხოვრობს. დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ახლა კავკასიაში მცხოვრები ყოველი მესამე აზერბაიჯანელია.

VSAILD-ის მონაცემებით მსოფლიოს 232 ქვეყანას შორის საქართველოს მოსახლეობა რიცხოვნობის შემცირების ტემპით მსოფლიოს კატასტროფულ ოცეულშია და მეთექვსმეტე, ხოლო შობადობით 174 ადგილზეა.

ამ თემაზე ყოველწლიურად ვაქვეყნებ წერილებს, მაგრამ საერთო ტენდენცია საქართველოში არ იცვლება, პირიქით - მცირდება. საქართველოში არსებული ვითარება არაფრით განსხვავდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მონაცემებისგან. მონაცემები ჩვენს რაიონში კიდევ უფრო საგანგაშოა. **თუ 1989 წლის საყოველთაო აღწერით ბორჯომის რაიონში 39,7 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წლის აღწერით მხოლოდ 25 ათასი ადამიანი შემოგვრჩა. სამწუხაროდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ყოველი მესამე-მეოთხე სახლი დაკეტილია და მეპატრონეები ემიგრაციაში არიან წასულები.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი **ანზორ თოთაძე** საჯაროდ აცხადებს, - **თუ ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი არ გაიზარდა და ხელისუფლებამ განსაკუთრებული მზრუნველობა არ გამოიჩინა დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად, საქართველოში ქართველების დემოგრაფიული წყვეტა გარდაუვალიაო**.

ჩვენს სამშობლოში უკვე სამი ათეული წელია, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ 2015-2023 წლებში კატასტროფულად შემცირდა შობადობა, უმდაბლეს ნიშნულზე ჩამოვიდა პირველი ბავშვის დაბადებულთა რიცხოვნობა. ამ თვალსაზრისით სტატისტიკა სავალალოა. თუ 2015 წელს საქართველოში დაიბადა 59249, გარდაიცვალა 49121, ანუ ბუნებრივი მატება + 10128 ბავშვია. პირველი შვილი დაიბადა 24684. 2023 წელს სულ დაიბადა 40214, გარდაიცვალა 42156 ბავშვი, პირველი შვილი დაიბადა მხოლოდ 15160 ბავშვი.

მეცნიერების წინასწარი გათვლებით და დღეს არსებული მონაცემების ანალიზით, რვა წლის შემდეგ ანუ 2031 წელს კიდევ უფრო შემცირდება შობადობა, რაც გამოწვეული იქნება მიგრაციით და პირველი შვილის რიცხვის კლებით. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ თუ პირველი შვილის დაბადება მცირდება, მეორე და მესამე შვილზე საუბარი ზედმეტია და მიუთითებს ქორწინების სიმტკიცეზე. საუბედუროდ, დღეს საქართველოში ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება! ჩვენდა საუბედუროდ იღბლიანი და მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა პირდაპირ კავშირშია ოჯახებში ძალღებისა და კატების სიმრავლესთან! **ჩვენდა სავალალოდ ოჯახებში ადამიანები ცხოველებმა ჩაანაცვლეს. ძალღები და კატები ბავშვების ადგილს იკავებენ, რაც შეურაცხყოფს და გვიკარგავს ადამიანურობას. ახალგაზრდა მშობლები უარს ამბობენ დედობისა და მამობის ფასეულობებზე. ასეთმა დამოკიდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცივილიზებული სამყაროს დაღუპვა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე 1980-2010 წლამდე მე და ქალბატონი **ნანა ჭანტურია** ვხელმძღვანელობდით ბორჯომის დემოგრაფიულ საზოგადოებას. იმ წლებში ბევრ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ადამიანებს ქმედითი დახმარება აღმოვუჩინეთ. სხვათა შორის იმ წლებში სამ და ხუთშვილიანი ოჯახების რაოდენობა 900-ს ოჯახს აჭარბებდა, ახლა მათი რაოდენობა 100-120 ოჯახს არ აღემატება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად დაახლოებით 90-100 ათასი ბავშვი იბადებოდა. **1991 წლიდან დღემდე იმავე ტემპით რომ გაზრდილიყო შობადობა, როგორც 1961-1991 წლებში იზრდებოდა, დღეს 7 მილიონი, ხოლო 2050 წლისთვის 8 მილიონზე მეტნი ვიქნებოდით.**

როგორც ცნობილი დემოგრაფი **ანზორ თოთაძე ამბობს, თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა საქართველოში დემოგრაფიული პროცესი, 2031 წლისათვის დაიბადება მხოლოდ 20 ათასი ბავშვი, რაც ჯარს და პოლიციას არ ეყოფა და ეს იქნება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი და სახელმწიფო იძულებული გახდება ქვეყნის ეკონომიკაში დაასაქმოს ემიგრაციის სახით ქვეყანაში შემოსული უცხოტომელები, რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდებიან ჩვენს ქვეყანაში და მათ გამრავლებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.**

არაერთხელ გვითქვამს და დაგვიწერია, სასწრაფოდ შესამუშავებელია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა, ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს.

ვალერიან ლომიძე.

P.S. **ახლო მომავალში გაეცნობით ბორჯომის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული ვითარების მიმოხილვას.**

ორგანიზებულად ვემზადოთ საპარლამენტო არჩევნებისათვის

ხალხის მობილიზების რესურსის არქონის ფონზე, რაც ამას წინათ ნათლად გამოჩნდა, ოპოზიცია უკვე იაფფასიანი დესტრუქციული პერფორმანსებით ცდილობს პოლიტიკურ პროცესებში არეულობის შეტანას, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც კალაძემ აღნიშნა, მმართველი გუნდი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივის განხილვას აღარ აპირებს.

- პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით გვსურს, საზოგადოებას განვუმარტოთ, თუ რა პროცესები ვითარდება რეალურად უკანასკნელ დღეებში. ყველამ ნათლად დაინახა, რომ საპროტესტო აქციის რეალური ორგანიზატორი იყო ,,ნაციონალური მოძრაობა“ თავისი განშტოებებით. ამ აქციის საბაბი პროპორციული საარჩევნო სისტემის მოთხოვნაა, რეალური მიზანი კი, პოლიტიკური პროცესის დესტრუქციულ რელსებზე გადაყვანაა.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური ძალა წლების განმავლობაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მართავდა ქვეყანას და შერეული საარჩევნო სისტემის პროპორციული შეცვლა ერთხელაც არ უფიქრია.

მეტიც, 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ისე განხორციელდა, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილების საკითხი არც კი განუხილავთ, არც ,,ნაციონალურ მოძრაობას“ და არც მაშინდელ საკონსტიტუციო პროცესში ჩართულ იმ პოლიტიკურ ძალებს და სხვა სუბიექტებს, რომლებიც ახლა აქციაზე ვიხილეთ.

მოგვიანებით, 2012-2016 წლებში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ხელმძღვანელობდა საპროტესტო აქციის კიდევ ერთი მონაწილე, **დავით უსუფაშვილი**, რომელსაც 4 წლის მანძილზე თითი თითზე არ დაუკარებია საკონსტიტუციო რეფორმის განსახორციელებლად, მათ შორის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასასვლელად.

2017 წელს კი, სწორედ ამავე პოლიტიკური ძალების ბოიკოტის ფონზე მოახერხა ,,ქართულმა ოცნებამ“ **ირაკლი კობახიძის** ხელმძღვანელობით განეხორციელებინა ნარმატებული საკონსტიტუციო რეფორმა და პირველად ქართული კონსტიტუციალიზმის ისტორიაში, 2024 წლიდან პროპორციული საარჩევნო სისტემა შემოიღო.

ეს იყო ის მაქსიმუმი, ის რთული შიდაპარტიული კონსესუსი, რომლის მიღწევა, საკითხისადმი მაჟორიტარი დეპუტატების უდიდესი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების ფონზე, დიდი ძალისხმევის ფასად იქნა მიღწეული.

ამასთან, მაშინდელ საპარლამენტო ოპოზიციას, რომელიც დღეს ბარიკადებზე დგას, საარჩევნო სისტემის დაუყოვნებელი ცვლილებისათვის, ანუ პროპორციულ სისტემაზე 2021 წელს გადასვლისათვის მხარი რომ დაეჭირა, ეს გადაწყვეტილება კონსტიტუციაში უკვე ასახული იქნებოდა.

შესაბამისად სურთ ეს ოპონენტებს თუ არა, სწორედ ,,ქართული ოცნება“ ჩაიწერება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ერთადერთ ინიციატორად და ავტორად.

ცხადია, ყველა საარჩევნო სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა ორივე საარჩევნო სისტემა ლეგიტიმური და დემოკრატიულია. 2020 წელს არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით ისევე, როგორც ტარდებოდა აქამდე, უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე.

არჩევნებს იგებს საზოგადოების ნდობა და არა საარჩევნო სისტემა. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს ჩვენ სწორედ ამ საარჩევნო სისტემის პირობებში შევცვალეთ ძალადობითა და სისასტიკით გამორჩეული რეჟიმი, რომელიც პრაქტიკულად სრულად აკონტროლებდა პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებულ ყველა ინსტიტუტსა და ინსტრუმენტს.

,,ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი დევიზი - ,,ძალადობა ნებისმიერ ფასად“, უცვლელი რჩება, ვინაიდან, არც ერთი საარჩევნო სისტემის პირობებში მათ გამარჯვების შანსი არა აქვთ, ისინი დესტრუქციის შემოტანით ცდილობენ სასამართლოს სამივე ინსტანციის მიერ მსჯავრდებულ სააკაშვილთან ერთად ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ბუნებრივია, ეს მცდელობაც წარუმატებლობისათვის არის განწირული.

ხალხის მობილიზების რესურსის არქონის ფონზე, რაც გუშინ ნათლად გამოჩნდა, ისინი ახლა უკვე იაფფასიანი დესტრუქციული პერფორმანსებით ცდილობენ პოლიტიკურ პროცესებში არეულობის შემოტანას.

ამ პროცესში განსაკუთრებით დასაფასებელია მიმდინარე მოვლენებისადმი ჩვენი მთავარი საერთაშორისო პარტნიორობის მხრიდან გამოხატული პოზიცია. **საქართველო არის ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ცივილიზებული თამაშის წესები კი, რა თქმა უნდა, ყველასგან კანონის ფარგლებში მოქმედებას მოითხოვს.**

არჩევნებამდე დარჩენილია 4 თვე, შესაბამისად ჩვენ აღარ ვაპირებთ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული რაიმე ახალი ინიციატივის განხილვას.

არჩევნები ჩატარდება მოქმედი კონსტიტუციით დადგენილი წესით, დადგენილ ვადებში, უმაღლესი დემოკრატიული სტანდარტით და საერთაშორისო საზოგადოების ძალიან მაღალი ჩართულობით.

ამიტომ მოვუწოდებთ ოპონენტებს, მოემზადონ არჩევნებისათვის და ხალხის მხარდაჭერის არქონას, საარჩევნო სისტემებს ნუ დააბრალებენ - განაცხადა ქაჯა კალაძემ.

ბორჯომი-ახალდაბის საავტომობილო გზაზე

გასულ კვირას, ტრადიციისამებრ ბორჯომი-ახალდაბის საავტომობილო გზაზე მომიწია გადაადგილება. ნამდვილად თვალში საცემი იყო საავტომობილო გზის საფარის მდგომარეობა, რომლის შესახებ ხშირად ვწერდით და ავღნიშნავდით, რომ მოსანესრიგებელი იყო და თვეები ჭიანურდებოდა მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მგზავრები კი მუდმივად წერდნენ და იღებდნენ ვიდეორგოლებს და აქვეყნებდნენ, თუ როგორ რთულ მონაკვეთზე უწევდათ გადაადგილება. სწორედ აღნიშნული სამუშაოებიდან გამომდინარე განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში იქმნებოდა საცობები. ზაფხულის პერიოდში კი აუტანელს ხდიდა მოქალაქეების ტრანსპორტით გადაადგილებას, რადგან მტვრისგან საშინელი კორიანტელი დგებოდა.

მინდა სიხარულით ვუთხრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომ აღნიშნული დისკომფორტი, რომელიც მიმდინარე სამუშაოების გამო იყო შექმნილი წელს აღარ დახვდებათ ბორჯომის ხეობის სტუმრებს. გზის საფარი მოწესრიგებული და დახაზულია, დადგმულია საგზაო ნიშნების ბანერებიც.

ასე კომფორტულად დიდი ხანია აღარ მიმგზავრია. რაც კეთდება მართლაც ამშვენებს გზას, უბანს და გიტოვებს განცდას, რომ ამ ქალაქზე ზრუნავენ. ამ ეტაპისთვის უკვე თვალს და გულს უხარია ამ გზაზე მგზავრობა, ულამაზესი ბუნების ხედებით ტკბობის პარალელურად. ხარისხს კი დრო და ჩვენი ბორჯომის მკაცრი კლიმატური პირობები თავად გამოცდის. ბედნიერ დასვენებასა და მგზავრობას გისურვებთ.

P.S. **ზემოთ ნათქვამ სიტყვებს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბორჯომ-ახალდაბის საავტომობილო გზატკეცილზე კვლავ მოუწესრიგებელია მგზავრთა მოსაცდელები, ნიაღვარსავალი არხები და სხვა წვრილმანი დეტალები, არადა ტურისტული სეზონი ძალაშია და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობაც ინტენსიურია.**

იზა იანვარაშვილი

იუბილარი

იმკის საზოგადოების დიდ სითბოსა და სიყვარულს

ბატონ სერგო მელიქიძეს ბორჯომში ყველა ზრდასრული ადამიანი იცნობს. საზოგადოების დიდი სიყვარული და დაფასება ბატონმა სერგომ თავისი ერუდიციით, შინაგანი კულტურით, მკურნალის პროფესიის ზედმიწევნით ცოდნით და პაციენტთა მიმართ გამოჩენილი უდიდესი გულისხმიერებითა და სიყვარულით დაიმსახურა.

ბატონ სერგოს მიმდინარე წლის თებერვალში 85 წელი შეუსრულდა. თავისი უწყინარი ხასიათიდან გამომდინარე მისი საიუბილეო თარიღი შემთხვევით შევიტყვეთ და გადავწყვიტეთ ამ თავმდაბალი და უპრეტენზიო პიროვნების შესახებ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებია საზოგადოებისათვის მის მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა, მან პაციენტების გარემოცვაში და ასეულობით ავადმყოფების განკურნების და გადარჩენის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

,,ჩვენი სერგო ექიმი“, ასე იცნობს ბორჯომის საზოგადოება სერგო მელიქიძეს. მან ეს თბილად და ღამაზად გამოსათქმელი ,,თიკუნი“ დაიმსახურა.

დაიბადა ახალქალაქში, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, წარჩინებული კურსდამთავრებული თერაპევტის პროფესიით მუშაობას შეუდგა ახალქალაქის რაიონის სოფელ სულდის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც ასრულებდა მთავარი ექიმის მოვალეობას, თითქმის ოთხი წელი იმუშავა მშობლიურ რაიონში, შემდეგ ბორჯომში გადმოვიდა საცხოვრებლად და წაღვერის პოლიკლინიკის მთავარ ექიმად დაინიშნა.

მეტად მრავალფეროვანია ნიჭიერი და ერუდირებული დასტაქრის განვლილი ცხოვრების გზა ბორჯომში.

1973 წლიდან ბატონი სერგო მუშაობდა ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ, კურორტების გაერთიანების ჯერ განყოფილების, შემდეგ მთავარ ექიმად.

1982 წელს ნიჭიერი და წარმატებული ხელმძღვანელი რაიონულ საავადმყოფოში ჯერ მთავარი ექიმის მოადგილედ, ხოლო შემდეგ საავადმყოფოს მთავარ ექიმად დააწინაურეს, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა ექიმის მაღალი პროფესიული და ორგანიზატორული მუშაობის თვისებები.

მომდევნო წლებში იმუშავა პანსიონატ ,,ბახტრიონის“ განყოფილების გამგედ, ბორჯომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების საექიმო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ, ცენტრალური პოლიკლინიკის უბნის თერაპევტად, ,,ჯეო-ჰოსპიტალს“-ის ოჯახის ექიმად. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ერთხანს ბაკურიანის საჯარო სკოლაში იმუშავა ექიმად, ხოლო 2018-2022 წლებში სასტუმრო ,,აისის“ განყოფილების გამგე იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონმა სერგომ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს 45 წელი შეალია, ამ ხნის მანძილზე ათამდე სერთიფიკატი, აუარებელი დიპლომი და მადლიერების სიგელი, სახელმწიფო ჯილდოები აქვს მოპოვებული. იშვიათად შეხვდებით ბატონ სერგოს მსგავს სიტყვამოსწრებულ, ტკბილმოუბარ პიროვნებას, ხანდაზმულობის მიუხედავად შეუძლია მაღალპროფესიული რჩევა მიიღოთ მისგან სხვადასხვა დაავადებების განსაკურნებლად.

აი, რას წერს შ.პ.ს. ,,ჯეო-ჰოსპიტალსის“ ყოფილი მენეჯერი ირაკლი დიასამიძე ბატონ სერგოს სარეკომენდაციო წერილში:

- ბატონ სერგო მელიქიძეს დავახასიათებ, როგორც ნამდვილ პროფესიონალს, რომელიც ხასიათდება შრომისმოყვარეობით, დისციპლინით და თანამშრომლებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობით. იგი 1992 წლიდან მუშაობდა ს/ს ,,ბორჯომის ცენტრალურ პოლიკლინიკა“-ში, 2011 წლიდან მუშაობა გააგრძელა შ.პ.ს. ,,ჯეოჰოსპიტალს“-ის ბორჯომის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში ოჯახის ექიმის პოზიციაზე, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან საპენსიო ასაკის გამო შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება. ბატონი სერგო არის თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, გამოირჩევა კომპეტენტურობით არჩეულ სფეროში, ორგანიზაციული და კომუნიკაბელური უნარ-ჩვევებით. სისტემატურად იმაღლებდა კვალიფიკაციას, გავლილი აქვს უწყვეტი სამედიცინო განათლების ტრენინგები და სემინარები.

სამედიცინო სფეროში რამდენიმე წლიანმა მუშაობამ კარგი გამოცდილება შესძინა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში. მისი გამოცდილება კოლოსალურია და ნებისმიერი ორგანიზაციებისათვის მსგავსი კადრის შეძენა და შენარჩუნება წარმოადგენს დიდ ბედნიერებას.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი სერგო კომუნიკაბელური ადამიანია და ნებისმიერი ფენისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანთან შეუძლია საერთო ენის გამონახვა. ის შესანიშნავი ოჯახის უფროსია, ყავს მეუღლე ლია აფხაძე, სამი შვილი: ირმა, გია და ირინა, ოთხი შვილიშვილი: სალომე და მარიამ ლომსაძეები,, ქეთევან და თეკლა მელქაძეები. ხარობს თავის ნაშიერში და საზოგადოებიდან იმკის იმ სითბოსა და სიყვარულს, რაც წლების მანძილზე ალალ-მართალი და ნამუსიანი ცხოვრებით დაიმსახურა.

ზაურ ზედგინიძე.

ხელოვნების კვალდაკვალ...

ამ ბოლო წლებში ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (დირექტორი თინათინ მამასტარაშვილი), - კარგ ტრადიციად ჩამოყალიბდა ახალგაზრდა ხეობელი სახვითი ხელოვნების სპეციალისტთა ნამუშევრების გამოფენა. მუზეუმის თანამშრომლები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლენისათვის, რათა მათი ტალანტი დავიწყებას არ მიეცეს. მართალია, მუზეუმის ფოიე, სადაც მათი ნამუშევრების გამოფენა ეწყობა ფართობის სიმცირის გამო ავტორის ყველა ნამუშევარს ვერ იტევს, თუმცა ისინი, რომლებიც გამოფენაშია წარმოდგენილი, დიდ მოწონებას იმსახურებს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ისე უცხოელ ვიზიტორებს შორის.

ამ დღეებში მუზეუმმა ფართოდ გაუღო კარი ჩითახეველი ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედის ანა გოგოლაძის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას სახელწოდებით - „მხატვრული მრავალფეროვნება“.

ანა დაიბადა 1992 წლის 10 ნოემბერს ქ. ბორჯომში. ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორი მძიმე იყო 1990-იანი წლები. 1995 წელს ანას ოჯახი დროებით საცხოვრებლად გადავიდა ქ. მოსკოვში. 1998 წელს 6 წლის ანა მშობლებმა შეიყვანეს ქ. მოსკოვის ქართულენოვან სკოლაში. 2005 წელს ოჯახთან ერთად იგი დაბრუნდა მშობლიურ ჩითახევში და სწავლა განაგრძო ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში. ხატვა ბავშვობიდანვე მისი საყვარელი საქმიანობა იყო და სწორედ ამიტომ სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მან შეთავსებით მუშაობა დაიწყო კერამიკის ქარხანაში, სადაც ძირითადად მუშაობა მიმდინარეობდა თიხის კერამიკული ნაკეთობების დასამზადებლად, როგორიცაა დოქების, თიხის ბოთლების, ქოთნების და სხვათა მოხატვა და გამოწვა. 2016 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მისმა ლექტორმა, პროფესორმა **მაია გაბადაძემ** მოიწონა რა ანას დახელოვნება, სამუშაოდ მიიწვია თავისთან კერამიკულ საამქროში, ანამ კი თავისი მშობლიური კუთხე აირჩია მუდმივ საცხოვრებლად. იმავე წელს მან სამთვიანი სტაჟირება გაიარა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამის შემდეგ ერთი წელი იმუშავა ჭობისხევის საშუალო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის თანამდებობაზე.

2017 წლიდან მთელი შეგნებული საქმიანობა დაუთმო თავისი სპეციალობის დახვეწას და შემდგომ გამრავალფეროვნებას, ძირითადად დაკავებულია თიხაზე მუშაობით, აგრეთვე მუშაობს ფერწერაზე, გრაფიკაზე, აკვარელზე და სხვა.

მუზეუმში გამოსაფენად ანამ მოიტანა 9 ფერწერული ტილო, 4 გრაფიკული ნამუშევარი, მცირე ზომის ხის დიაგონალურ გადანაჭრებზე შესრულებული ბუნების პეიზაჟები, სულ 10 ნამუშევარი, ასევე გამოყენებითი და დეკორატიული ხასიათის კერამიკული ნაკეთობები.

დავულოცოთ შემდგომი ფართო ცხოვრების გზა ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მრავალფეროვან ხელოვნებაში.

ალგი ლომიძე

ნუ განიცდით მავანთა გამო

დაახლოებით ერთი კვირის წინ ჩხრიალა გველმა ჩემს ცხვარს სახეზე უკბინა. ყველაზე მომაკვდინებელი გველი, რომელიც აქ ცხოვრობს. ცხვარს სახე გაებერა და საშინლად სტკიოდა, მაგრამ ჩხრიალამ არ იცოდა, როგორი სისხლი მიედინება ცხვრებში. გველის ანტიშხამი ყველაზე ხშირად ცხვრის სისხლიდან მზადდება. ცხვარი დაახლოებით 2 დღის განმავლობაში შეშუპებული იყო, მაგრამ კრავის სისხლმა გაანადგურა გველის შხამი. მე ვღელავდი, მაგრამ ცხვარს არ აინტერესებდა. ის აგრძელებდა ჭამას, წყლის სმას და ცხოვრებას, რადგან იცოდა, რომ კარგად იყო.

ხშირად ამ ცხოვრების „გველები“ გვწვდებიან და გვკბენენ. ისინი თავიანთ შხამს ასხამენ ჩვენში, მაგრამ ღვთიური კრავის სისხლს ვერაფერს უზამენ, რომელიც ასუფთავებს სამყაროს ცოდვებისა და სასიკვდილო ნაკბენებისაგან.

არ ინერვიულოთ გველის ან მისი ნაკბენის გამო, უბრალოდ დარწმუნდით, რომ კრავის სისხლი თქვენს ძარღვებში მიედინება.

ეს ამბავი, ერთ-ერთი სასულიერო პირის გვერდზე ამოვიკითხე და ნამდვილად მინდოდა, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვისაც გამეზიარებინა. მგონია, რომ ის შესანიშნავად ასახავს დღევანდელი ადამიანების ყოველდღიურ ყოფას, დაუნდობელ, სიბოროტით სავსე სამყაროში, სადაც დღემუდამ ღვარძლი, შური და სახელის მოხვეჭისათვის ბრძოლაა გაჩაღებული. სადაც, სამწუხაროდ ადამიანებს უჭირთ რეალობისთვის თვალის გასწორება, ტყუილ-მართლის გარჩევა. მხოლოდ საკუთარ პირადულ კეთილდღეობაზე ზრუნვაა პრიორიტეტული და საზოგადოების სხვა წევრების აზრის გათვალისწინება ხშირად ღალატის ტოლფასადაც კი მიაჩნიათ. როგორ ავიწყდებათ ადამიანებს, რომ უფლის წინაშე ყველა ერთნი ვართ და მხოლოდ უფალმა უწყის, რატომ ან რისთვის ღირს ჩვენი ამქვეყნად მოვლინება? სხვისი წარმატებული ცხოვრების მაცქერალი ხშირად თვითონვე რჩება წარუმატებელი, რადგანა ჰგონია, რომ იმ სხვას სრულიად გამართლებულად ხვდა წილად წარმატებაც, მდიდრული ცხოვრებაც და ა.შ. თუმცა, ხომ არ ჯობდა საკუთარ თავზე ბევრი ემუშავათ ადამიანებს, ვიდრე სხვისთვის ეყურებინათ? რა ჩაიცვა, სად ისნავლა, დროს სად ატარებს. თანაც სოციალური ქსელი თითქოს ისე გამჭვირვალედ აქცევს სხვების ცხოვრებას, რომ უნდათ თუ არ უნდათ, სხვა ადამიანების ცხოვრებით აცხოვრებს მავანთ და სწორედ აქ ცდებიან, რადგანაც ცოდნის მიღების, მუშაობის და საკუთარი თავის აღზრდის ნაცვლად, სხვისი ცხოვრების განმკითხველებად რჩებიან. მიუხედავად უფლის წინაშე თანასწორობისა, კარგად თუ დავფიქრდებით, დავინახავთ, რომ თითოეულ ადამიანს უფალმა მაინც განსხვავებული გარეგნობა უბოძა და შესაბამისად, სრულიად განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობებითაც დააჯილდოვა ყველა მათგანი და სწორედ აქედან გამომდინარე, მისი წარმატება, ან ნარმატების საკითხიც, ხშირ შემთხვევაში აქედანაც გამომდინარეობს. თუმცა, ცხოვრების ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანესი რამაა საკუთარი თავის რწმენა და თავდაჯერებულობა. ისევ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი თავის ცვლილებაც, ფერისცვალებაც და რაც მთავარია, საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიის შექმნაც. ყოველთვის იცოდეთ, რომ მავანთა გამო ნერვიულობა არ ღირს.

ზემოთ აღნიშნული ამბის მთავარი დედააზრიც ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ცხოვრებისეული წარუმეტებლობისა თუ მრავალგზის დაცემისა, ადგომის სურვილი გაგვაჩნდეს და ვერც ერთი ბოროტი ძალა ვერ შეძლებს ჩვენს დამარცხებას.

მოამზადა ნატალია მესხელმა.

კარგად დაფიქრება გვმართებს

დღეს, სოციალური სივრცე სავსეა სხვადასხვა სახის პროდუქციის რეკლამებით, კერძო თუ დიდი კომპანიები ცდილობენ, რომ საკუთარი პროდუქტი, რაც შეიძლება ლამაზად შეფუთონ. ამისთვის არც დროს იშურებენ და არც ენერგიას. გულმოდგინედ აწერია თითოეულ ნივთს საკუთარი ფასი, ზომა, წონა თუ ა.შ. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, რომლის შესახებაც აუცილებლად უნდა ვისაუბროთ. ალბათ, არა მხოლოდ ჩემი, არამედ ბევრი მომხმარებლისთვის აგრესიას იწვევენ ისეთი კომპანიები, რომლებსაც საკუთარ პროდუქციაზე ფასი არ აქვთ მითითებული. მათ გვერდზე, განთავსებული პროდუქციის ქვემოთ შემხვედრია უამრავი ნეგატიური კომენტარი, რომელთა შინაარსიც კომპანიის მხრიდან უყურადღებობას \ეხება. ,,რატომ დებთ პროდუქტს, თუ ფასს არ აწერთ?“, ,,რატომ თხოვთ მომხმარებელს პირადი შეტყობინების მოწერას, რათა საიდუმლოდ გაიგოს პროდუქციის ფასი?“, რა ღირს, უნდა ვიმკითხაოთ? ეს და კიდევ უამრავი მსგავსი შინაარსის კომენტარი შეგხვდებათ ასეთი უპასუხისმგებლო კომპანიების მიმართ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნული კომპანიები თუ კერძო ბიზნესის მესვეურნი, საკუთარ პროდუქციას, ონლაინ ყიდიან, რომელთა მიწოდებაც საქართველოს ფოსტის მეშვეობით ხვდება კურიერებთან და ბოლოს, სწორედ ამ ადამიანებს მიაქვთ დამკვეთებთან. მე პირადად როგორც სოციალური ქსელის მომხმარებელი, თავადაც ვსარგებლობ საკურიერო მომსახურებით, როგორც ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის, ასევე კოსმეტიური საშუალებების კომპანიებიდან, რომლებთან ურთერთობითაც საოცარად კმაყოფილი და მადლიერი ვარ. ამ წლების განმავლობაში არ მახსოვს, რომ იმ კომპანიას, საიდანაც კი პროდუქცია გამომიწერია, დათქმულ დროს არ მოეტანოთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად ადრეც კი მიმიღია გამოწერილი პროდუქტი. სამწუხაროდ, მე და კიდევ ჩემ მსგავსად ვარსებობთ გამონაკლისი ადამიანებისა, რომელთაც წილად გვხვდა ბედნიერება პასუხისმგებლიან კომპანიებთან თანამშრომლობის, თუმცა, გარშემო, ბევრი მოტყუებული ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც უპასუსიხმგებლო და რაც მთავარია, მატყუარა ადამიანებმა დააზარალეს. რამდენიმე თვის წინ მახსოვს, ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ცნობილი ქართველი მსახიობი ჰყავდათ სტუმრად ზემოთ აღნიშნული თემით, სადაც ის საკუთარ „მწარე გამოცდილებაზე“ ჰყვებოდა. მან ერთ-ერთ კერძო პირისაგან, რომელსაც საკუთარი გვერდი ჰქონდა და ხელჩანთებს ყიდდა, ერთდროულად რამდენიმე ჩანთა გამოიწერა, მათ ანგარიშზე წინასწარ თანხაც ჩარიცხა, თუმცა ცოტა ხანში აღმოაჩინა, რომ სოციალურ ქსელში კომპანია, საიდანაც ჩანთები გამოიწერა, აღარ იძებნებოდა. სამწუხაროდ, მსახიობმა რა არ სცადა, თუმცა ვერც თანხა დაიბრუნა და ვერც შეძენილი ნივთები.

ჩემი რესპოდენტიც იმ მომხმარებელთაგანია, რომელმაც სოციალური ქსელის მეშვეობით ერთ-ერთი კომპანიიდან პროდუქცია გამოიწერა, თუმცა მანაც მსახიობის მსაგვსად ვერც თანხა დაიბრუნა და შესაბამისად, არც ნივთები არ მიუღია. აი რას ყვება ის:

ნ.ი. - დაახლოებით ექვსი თვის წინ, სოციალური ქსელის მეშვეობით გვერდიდან, სახელწოდებით - „ნივთები ამერიკიდან“ გამოვწერე საკმაო რაოდენობის პროდუქცია, 200 ლარის ფარგლებში, რომელიც წინასწარვე დამარიცხინა. რა თქმა უნდა, გვერდის მფლობელი ქართველი იყო, რადგანაც ქართულად მეკონტაქტებოდა. მითხრა კიდეც რიცხვი, რა რიცხვშიც მივიღებდი პროდუქციას, თუმცა, როდესაც დათქმულ დროს არავინ დამეკონტაქტა, მე მივაკითხე ფოსტას რამდენჯერმე და აღმოჩდა, რომ პროდუქცია არ იყო ჩამოსული. რა თქმა უნდა ავღელდი, დავიწყე მიწერა, რომ რატომ დასჭირდათ ტყუილი, მიპასუხეს, რომ უბრალოდ გვიან წამოვიდა საზღვარგარეთიდან და რამდენიმე დღეში აუცილებლად მივიღებდი. გავიდა კიდევ ერთი კვირა და რომ მივწერე, სოციალურ ქსელში დამბლოკეს. შემდეგ კი სოციალური სივრციდან, საერთოდ გაქრა აღნიშნული გვერდი. ასე დავრჩი მოტყუებული. რაც შეეხება იმ მომხმარებლებს, რომლებიც ჩემ მსგავსად არ დარჩნენ მოტყუებულები, ვეტყოდი იმას, რომ იმ გვერდიდან, საიდანაც სურთ რომ რაიმე გამოიწერონ, მაქსიმალურად გადაამოწმონ კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობა. თუნდაც, მიწერონ და მიმართონ კითხვით იმ მომხმარებლებს იმავე გერდზე რამდენად კმაყოფილი არიან მათი მომსახურებით, პროდუქციით, ხარისხით და .ა.შ. და \ასე ერთი ხელის მოსმით არ ენდონ და მითუმეტეს თანხა წინასწარ არ დარიცხონ.

P.S. ალბათ აღნიშნული ფაქტებიდან სამწუხაროა ის, რომ ადამიანების თავხედობას და მაქინაციებს საზღვრები არ აქვს. ასეთ ადამიანებს ჰგონიათ, რომ იმ საქციელით, რასაც ისინი სხვა ადამიანების მიმართ სჩადიან, მხოლოდ მათ აზარალებენ? არა, რა თქმა უნდა, ისინი პასუხისმგებლიან ადამიანებსაც უშლიან ხელს, რომ მათ მიმართ მომხმარებლებს ნდობა ჰქონდეთ.

ასე რომ, კარგად დაფიქრდით, სად, ვისთან, როგორ და რამდენად ხარისხიან პროდუქციას იძენთ.

ნატო მელიქიძე

ვულოცავთ!

დიდი სიყვარულით ვულოცავ ჩემ უმცროს შვილიშვილს **თეკლა მელქაძეს** დაბადების დღეს - 2 ივლისს.

ვუსურვებ დასახული მიზნების ასრულებას, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს, სურვილების ახდენას.

გვჯერა, რომ თეკლა მონდომებული სწავლით სკოლაში საკუთარი თავს იპოვის.

მისი წარმატების ფორმულაა: პასუხისმგებლობა, დაუღალავი შრომა, სწავლისადმი თავდადება, თავდაჯერებულობა და გულწრფელობა.

საკუთარი ლექსით ვულოცავ საიუბილეო თარიღს.

თეკლა სკოლაში სწავლით
ძალიან ბედნიერია,
თან წარმატებას აღწევს,
გონებით გონიერია.
დინჯი, მონდომებული,
მომთმენი ხასიათითა,
კლასში ათოსანია,
წლიური შეფასებითა.
წელს თხუთმეტი წლის ხდება,
ვულოცავ სიყვარულითა,
ვზეიმობთ მშობლებთან ერთად,
გულწრფელი სიხარულითა.

თეკლას ბაბუა
სერგო მელიქიძე.

ბორჯომის საზოგადოების გამორჩეულ ქალბატონებს ტყუპებს
თამარ და ნინო საბაშვილებს

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ბედნიერებას და ღვთის წყალობას. სულ მალე თქვენი ბედნიერების სადღეგრძელო ყანწით დაგველიოს. გახსოვდეთ, მრავალფეროვან საქმიანობასთან ერთად თქვენ ნამდვილად ალამაზებთ ბორჯომს.

წარმატებებს გისურვებთ, სიკეთე, სიყვარული და ჯანმრთელობა ყოფილიყოს თქვენი ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი.

გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივი.

პოეზიის კუთხე

1891 - ჩვიდმეტი - 1959

უძილო ღამემ ამიწეწა სულის სიმები,
ხმა დაუძლურდა, სადღაც მიყუჩდა ჰანგი სიმღერის,
უმწეობისგან ფიქრის ქსელში მწარედ გავები,
თვალით უნახავ გზას დავადექ და ბოლოს გავედი.
ამეკვიატა რიცხვი ჩვიდმეტი, როგორც მაგია,
ნეტავ რას მერჩის, რას მაწამებს, ან რას მარგია?
ნოემბრის ჩვიდმეტს ჭყვიშში ჩვილი ბავშვი ტიროდა,
ცრემლები იყო სიხარულის, თუ სული ჰკიოდა?
ახალ სიცოცხლის სახელი იყო გალაკტიონი,
ნაპირს არღვევდა მტკვარი, იქვე ჰქუხდა რიონი,
ზეცამ დიდების კარი გახსნა, იშვა გენია,
უკვდავებისა გამოატარა მუზის გზებია.
იყო ჭიდილი ბუნებასა და კაცთა შორის,
ირგვლივ მყოფებში მან ვერ იპოვა თავისი ტოლი,
იყო დაცინვა, იყო შური, იყო ქიშპობა,
მავანთა შორის უკადრისობა, ენით ქვის სროლა.
მუზის სიმძაფრემ და ემოციამ აიყოლია
და ბუმბერაზი, ფსიქიატრულში გაიყოლია,
ეშმასთან ბრძოლით დაიტანჯა, ვერ დაამარცხა,
თვისი სხეული სარკმელიდან ძირს დაანარცხა.
სული კი ზეცას გაემგზავრა, არ ჰქონდა ბარგი,
რიცხვი - ჩვიდმეტი - იყო სიცივე და იყო მარტი,
ვფიქრობ და მიკვირს, ციფრი ჩვიდმეტი რასა სჩიოდა?
რა უხაროდა, რას იქადდა, ან რა სტკიოდა?
ცოცხალი ბევრჯერ გულნაკლული მარტო დატოვეს,
სიცივეში და უძლურებაში ხშირად ამყოფეს,
გარდაიცვალა და დიდების კოშკი აუგეს,
სიკვდილის არა, მხოლოდ სიცოცხლის ძეგლი დაუდგეს.
მხოლოდ ერთი რამ ავიწყდება ადამის მოდგმას,
ცოცხალს ვივიწყებთ, მკვდარს დავუწყებთ გლოვას და მოთქმას,
ერთიმეორე დააფასეთ სიცოცხლის წლებში,
ნუ გაებმებით, გაიხლართებით შურ-ბოღმის ქსელში,
რადგან წუთია წუთისოფელი, უცებ გაივლის,
მერე სინდისი, ძარღვებში როგორც სისხლი დაივლის,
საკუთარ თავთან გვქონდეს ღირსება, რომ ვიამაყოთ,
სახელი მუდამ სუფთა სინდისით უნდა ვატაროთ.
უფალო ღმერთო, გთხოვ შეისმინო ჩემი ვედრება,
დღეს გალაკტიონს ბევრი ბაძავს, ბევრი ედრება,
არასოდეს არ გამაკარო გულში ღალატი,
ნაბოძები დრო გადმახდევინე ლექსის ღალათი.

იზო სარქისიანი. 29.05-24

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორეების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე ნატო მელიქიძე
კორექტორი ნანა კევლიშვილი

სპორტი

ჭაბუკები ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ

რევაზ ლაშხი

ბორჯომში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ 20-წლამდე ასაკის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები (მწვრთნელი რევაზ ლაშხი).

გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია ჭაბუკთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებით, რომლებიც იასპარეზებენ სერბეთის რეს-პუბლიკაში (ქ. ნოვი-სადში).

გუნდის შემადგენლობაში იასპარეზებს 10 სპორტსმენი აი ისინიც:
ლუკა ჯავახიძე, ბესო მახარაძე, ანდრი ხოზრევანიძე, რატი ხოზრევანიძე, ნიკა ღლონტი, თორნიკე მიქელაძე, ლუკა გელაშვილი, აჩიკო ბოლქვაძე, ლუკა გაბისონია, საბა ჩილაშვილი.

„მეფე დავითის თასი“ ბორჯომში ჩამოიტანეს

15-19 ივნისს ურეკში ჩატარდა ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალი „მეფე დავითის თასი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოზარდ ფეხბურთელთა, როგორც ფიზიკური ასევე მენტალური განვითარებისათვის სწორი მიმართულების ჩამოყალიბება.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა მოზარდებს შეუქმნეს ჯანსაღი სპორტული გარემო.

შესანიშნავად იასპარეზეს ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის 2014-2015 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა, მწვრთნელების **ზურაბ გოგოლაძის და გიორგი გელაშვილის** ხელმძღვანელობით.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს 12 გუნდი. თამაში მიმდინარეობდა (9X9-ზე) ორი 20 წუთიანი ტაიმით, ნახევარ მოედანზე. ჩვენმა მოთამაშეებმა ითამაშეს 5 შეხვედრა, სადაც ყველა მეტოქე დაამარცხეს, ფინალში მათ ანგარიშით 2@:1 სძლიეს ქობულეთის „ჩელეს აკადემიის“ გუნდს და „მეფე დავითის თასი“ ბორჯომში ჩამოიტანეს.

გუნდის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი (9 გოლი) გახდა **ანდრია გაჩეჩილაძე**, საუკეთესო თავმდამსხმელად დასახელდა **ნიკოლოზ გელაშვილი**, საუკეთესო მეკარედ - **გეგა გელაშვილი.**

გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდნენ **მათე ჩინჩალაძე, სანდრო ხვედელიძე, მერაბ გოგოლაძე** (№1 სკოლა), **ანდრია გაჩეჩილაძე, თეიმურაზ გელაშვილი, ნიკოლოზ ღონღაძე, დავით ტალახაძე, გიორგი გოგოლაძე** (№3 სკოლა), **ნიკოლოზ მაღრაძე, გელა გელაშვილი, გიორგი ლომიტაშვილი, ანდრია კოსი** (№6 სკოლა), **ნიკოლოზ მანჯავიძე, საბა ქიმერიძე** (ახალდაბის სკოლა), **ნიკოლოზ გელაშვილი, ავთანდილ ცაგურიშვილი** (რველის სკოლა), **დაჩი ხაჩიძე** (ყვიბისის სკოლა), **დავით სამსონიძე** (ტაძრისის სკოლა).

ღონისძიებები ბიბლიოთეკებში

ბიბლიოთეკა ხომ ქვეყნად არის სულის ტაძარი,
გზის გასაკვლევად ყველასათვის მუდამ მზად არი,
კაცობრიობამ იერთგულა ცოდნის სამეფო,
სადაც საუნჯე ყველასათვის არის საერთო.

ამიტომ ამ საუნჯეში, ბიბლიოთეკაში, გეპატიჟებით ყველას, სადაც სხვადასხვა თემებზე ვაწყობთ ღონისძიებებს, თემატურ საღამოებს, შეხვედრებს პოეტებთან, ღირსეულ ადამიანებთან. ყველანაირად ვცდილობთ, დავაინტერესოთ მკითხველი, განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, ჯაბა ქვლივიძის ,,გზასაცდენილი“-ს განხილვამ.

ბავშვებმა დაგმეს ნარკოტიკზე დამოკიდებული ახალგაზრდა, რომლის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. იმდენად მოეწონათ ამ თემაზე საუბარი, გვთხოვეს კიდევ მივსულიყავით.

ჭობისხევის ბიბლიოთეკარმა, **ეკა ლონდარიძემ** მშვენიერი ღონისძიება მიუძღვნა შესანიშნავი პოეტის **ანა კალანდაძის** შემოქმედებას. მრავალრიცხოვანი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება.

ნაღვერის ბიბლიოთეკაში გამგე **ლეილა ლურსმანაშვილი, მარიამ ელისაშვილი** მასპინძლობდა პოეტ ქალბატონს **იზო სარქისიანს**, შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, ისინი დიდ სიყვარულს გამოხატავდნენ პოეტისადმი მისი პოეზიის მიმართ. საღამოს ალამაზებდა ნაღვერის კულტურის სახლის თანამშრომლები და მოსწავლეები.

გვიხარია, რომ ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი თემატური საღამო **„საქმით მეტყველი სული“,** ისე მოეწონა დამსწრე საზოგადოებას, რომ ღონისძიების დასრულების შემდეგ ცრემლიანი თვალებით ვუსმენდით მომხსენებლებს.

მადლობა ყველა მონაწილეს **ლიზი ადვაძეს, მარიამ დავიდიანს, ელენე ციცქიშვილს, თათია გოგოლაძეს**, რომლებმაც ნამდვილად გაალამაზეს ღონისძიება.

მადლობა გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორს **ვალერიან ლომიძეს**, რომელმაც გაიხსენა ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი ბორჯომის არქეოლოგიის შესწავლაში. მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** მოიწონა საბიბლიოთეკო გაერთიანების აქტიურობა და ისურვა მრავალრიცხოვანი საინტერესო ღონისძიებების ჩატარება.

ნანული სალაღაია,
ბიბლიოთეკების ღონისძიების კოორდინატორი.

ლია ბიბილაშვილის გახსენება

როგორ დამაკლდი, ჩემო მეგობარო!

ახლა, როცა ასე შორს ვარ შენგან და ვერ გამოგემშვიდობე, უფრო მეტად მიკლავს გულს და მეტად მიმძიმს უშენობა. ყოველთვის მაიმედებდი ჩემო კარგო, უცხო ქვეყანაში როცა მივდიოდი, რა ვიცოდი, რომ ცოცხალს ველარ გნახავდი.

ლია, ნეტავ იცოდე როგორ განვიცადე შენი უდროოდ გარდაცვალება, ჩემო კეთილო, სათნო და თბილო ადამიანო. ჩემთვის განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანი იყავი: ზნეკეთილი, სათნო და ყურადღებიანი.

შენი უმწიკლო ცხოვრებით, მოუშუშებელ ტკივილად დარჩები შენი ოჯახის, ახლობლების და მეგობრების გულში. ყველანაირი საუკეთესო თვისებებით იყავი შემკული, როგორც ერთგული მეუღლე, შვილებზე მოსიყვარულე დედა, შვილიშვილებზე მზრუნველი ბებია და გულთბილი მეგობარი.

ლია, ჩემო ძვირფასო, ვწუხვარ ბოლო გზაზე ვერ გაგაცილე და ვერ გაგაყოლე ჩემი ცრემლები.

მაპატიე ძვირფასო მეგობარო. იძინე მშვიდად და მანდედან ილოცე შენი ძვირფასი მეუღლის და საუკეთესო შვილების, ირმას და ნინოს ბედნიერებისთვის. შენ ხომ ორი, ღირსეული შვილი აღუზარდე ლომიძეთა საგვარეულოს, ამით მუდამ ამაყი და ბედნიერი იყავი.

მარიამ ღვთისმშობლის სევდიანმა ალერსმა მოგიშუშოს იარები და მისმა ღიმილმა გაგინათოს სამუდამო განსასვენებელი.

ნათელში იყავი ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ნანა თედიაშვილი-ცუცქირიძე.
იტალია. 2024 წ.

ლამარა ლურსმანაშვილი, დათო გელაშვილი, ბათო ხაჩიძე, ლეილა დავიდიანი, გიორგი ლომსაძე, მანანა ბლიაძე, ტატიანა ტაბატაძე, ზურა ბლიაძე, მერი ხუციშვილი, მანანა ტაბატაძე, ოთარ ტატიაშვილი, ბელა თაყაიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ გრიშა და ჯულიეტა ქურდოღლიანებს დედის
არფიკა აბოიანის
გარდაცვალების გამო.

ახლო მეზობლები: ლამარა ლურსმანაშვილი, დათო გელაშვილი, ბათო ხაჩიძე, ლეილა დავიდიანი, გია ლომსაძე, მანანა და ზურაბ ბლიაძეები, ტატიანა ტაბატაძე, მერი ხუციშვილი, ზვიად მესხი, ოთარ ტატიაშვილი, ხატუნა გუგუბერიძე, თეა ნიკოლაიშვილი, გულო ქურდოვანიძე, ნანა გოგოლაძე, ლალი სამსონიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ბორის ტაბატაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.